ხელშეკრულება № 7

ქ. თბილისი

05.05.2011 წ.

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი:**) საჯარო სამართლის იურიდიული პირი №72 სკოლა მისი დირექტორის ნათელა ნატროშვილის სახით, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №2 და მეორეს მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი:**): ი/ს „როლანდ ლომიძე" მისამართი: თბილისი, ცაბაძის №5, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას სკოლას მიაწოდოს 1 (ერთი) ცალი ფეხბურთის ბურთი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 30.00 (ოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

4. სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

4.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ზემოთ აღნიშნული საქონლის მიწოდება ერთი კვირის ვადაში.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვიდ ობიექტი (საქონელი) ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი (საქონელი) უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. უნაღდო. ანგარიშსწორების ფორმა სტანდარტული..
7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება საქონლის სრულად გადაცემის შემდეგ, ორი (კალენდარული) თვის განმავლობაში.

7.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 31 მაისამდე.

8. მხარეთა უფლება მოვალეობები

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით .

10. ფორს - მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს - მაჟორული გარემოებიპროცესში.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს – მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომიტ, სტიქიური მოვლენებით ეპიდემიით, კარანტინით და საქონელზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს – მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობებ

12.1. შემსყიდველს (მის წარმომადგენელს) უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს შესყიდვის ობიექტი რათა დარწმუნდეს მის შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

12.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად დამკვეთი.

12.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვა.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელსეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.5 მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ ხელმოწერიდან არაუგვიანეს ათი დღისა.

ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი:----------	მიმწოდებელი----------
სსიპ №72 სკოლის დირექტორი	ი/ს „როლანდ ლომიძე"
ნ. ნატროშვილი	როლანდ ლომიძე
სს „ლიბერთი ბანკი"- LBRTGE22	სს „პროკრედიტ ბანკი" – MIBGGE22
ს/კ №204422696,	ა/ა GE32PC0133600100036222
ა/ა GE31LB0121180433930000	kodi:102077850